ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4712119

ნომერი: AR1710558

თარიღი : 02.10.2019

გაცემის თარიღი : 15.10.2019

გაცნობის თარიღი : 15.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , (ნაკვეთი 29/102) ; ქალაქი თბილისი , სოფლის შემოგარენი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯაბა ჩხაიძე პ/ნ 01031003768
- თბილისი რ.თაბუკაშვილის ქ. N 19ა

ორგანიზაცია:

- შპს "მეგა კონსტრაქშენი" კოდი: 203835920

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 02 ოქტომბერს №AR1710558 განცხადებით მომართა ჯაბა ჩხაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა, (ნაკვეთი 29/102) ქალაქ თბილისში, სოფლის შემოგარენი, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.05.029.279) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 17 სექტემბრიდან 2023 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთო ფართობად 51857.5კვ.მ-ის ნაცვლად 50870.5კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 32437.7კვ.მ-ის ნაცვლად 30102.7კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2511.5 კვ.მ-ის ნაცვლად 3425.6კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 5258.2კვ.მ-ის ნაცვლად 5373.9 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 416.6 კვ.მ-ის ნაცვლად 267.3კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 8677.7კვ.მ-ის ნაცვლად 9234.30 კვ.მ-ის, სასწავლო აუდიტორიების ფართობად 855.5 კვ.მ-ის ნაცვლად 766.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 50870.5კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 30102.7კვ.მ, საზაფხულო ფართობად 3425.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 5373.9 კვ.მ, დამხმარე ფართობად 267.3 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 9234.3 კვ.მ, სასწავლო აუდიტორიების ფართობად 766.4 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 02 ოქტომბერს №AR1710558 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის № 4672506 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge